



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

## 2018 წელს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის განვითარება შეფერხდა

2019 წლის აპრილში [V-Dem](#)-მა სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის ამსახველი 2018 წლის [მონაცემები გამოაქვეყნა](#)<sup>1</sup>, რომლის მიხედვითაც, საქართველოში დემოკრატიის საშუალო ხარისხი გაუარესდა. მონაცემთა ანალიზისას თვალშისაცემია ის მიმართულებები, რამაც ბოლო წლებში გაუარესება განიცადეს და შესაბამისად ნეგატიური ასახვა ჰპოვეს საქართველოს რეიტინგში. მათ შორისაა:

- მიმდინარე პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა;
- კანონის წინაშე თანასწორობა;
- სასამართლოს ანგარიშვალდებულება;
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეპრესიები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის მიმართულებები, სადაც წინა წელთან შედარებით პროგრესი შეინიშნება. ასეთებია მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის, ზედა ინსტანციის სასამართლოების დამოუკიდებლობის ინდექსები.

V-Dem მონაცემები ასახავს საქართველოში ბოლო პერიოდში მომხდარ მოვლენებს, რომლებმაც პირდაპირი გავლენა იქონიეს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე. ანალიზისას დასტურდება ყოველი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას იმ საკითხების მხედველობაში მიღების საჭიროება, რომლებიც დემოკრატიის პრინციპების გაზომვის ინდიკატორებს წარმოადგენს და რომელთა უგულებელყოფა, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში არსებულ დემოკრატიის ხარისხზე აისახება.

მონაცემები აგრეთვე ცხადყოფს, რომ წინა წლების მსგავსად, გრძელდება დემოკრატიის ხარისხის გლობალური გაუარესების ტრენდი. უპრეცედენტო რიცხვს მიაწია იმ ქვეყნების რაოდენობამ, სადაც დემოკრატიის უკუსვლა დაფიქსირდა. მონაცემების მიხედვით, 24 ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტების მდგომარეობა.

### V-Dem-ის რეიტინგის შესახებ

<sup>1</sup> 1990-2017 წლებში V-Dem მეთოდოლოგიით შეფასებული საქართველოს დემოკრატიის ხარისხზე სტატია იხ: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2018/general/V\\_DEM\\_DATA\\_updated.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/general/V_DEM_DATA_updated.pdf) აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოქვეყნებული მონაცემები რომლებიც აგრეთვე წინა წლების მონაცემებსაც ასახავს, მცირე ცვლილებებით ხასიათდება 2017 წელს გამოქვეყნებულ მონაცემებთან შედარებით.

გიოტებორგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტის ბაზაზე დაფუძნებული [V-Dem Institute](#) ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის შეფასება. მონაცემები ეყრდნობა როგორც ოფიციალურ დოკუმენტებს (როგორცაა კონსტიტუცია, კანონები და მთავრობის სამართლებრივი აქტები), ასევე ექსპერტების მხრიდან მოვლენების შედარებით სუბიექტურ აღქმას და შეფასებას (მაგ: ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, არჩევნები და სხვა).

V-Dem განასხვავებს დემოკრატიის სხვადასხვა დონის ინდექსებს და მათ დასადგენად განსაზღვრავს შესაბამის ინდიკატორებს. დემოკრატიის 21 საშუალო დონის ინდექსები ერთმანეთისგან მიმართულებებით განსხვავდებიან (მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების და ალტერნატიულ ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, თავისუფალი არჩევნების და ა.შ.), ხოლო ხუთი მაღალი დონის, უფრო ზოგადი მაკრო ინდექსი, საშუალებას გვაძლევს მარტივად აღვიქვათ წლების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დემოკრატიულობა.

V-dem-ის მეთოდოლოგია ინდექსების საზომად 350 ინდიკატორზე მეტს ადგენს. სტატიაში ანალიზისთვის გამოყენებულია ფარდობითი სკალის (relative scale) მონაცემები. აღნიშნული მონაცემები მიღებულია გაზომვის მეთოდით, სადაც გათვალისწინებულია მონაცემების გაზომვაში ჩართული ექსპერტების შეხედულებებს შორის სხვაობა და სხვა გარემოებები, რაც რეალური სურათის შექმნას უწყობს ხელს. ინდექსებისა და ინდიკატორების მაჩვენებელი მათემატიკური ფორმულის საფუძველზე დგება და შესაბამისი ქულა და ადგილი ენიჭება რეიტინგში.


### საქართველოს 2018 წლის შედეგები

V-Dem მონაცემების მიხედვით, საქართველოში დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსებმა 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით მცირე ცვლილებები განიცადეს. კერძოდ, მცირედით გაიზარდა არჩევითი დემოკრატიის (0.668-დან 0.676-მდე), ლიბერალური დემოკრატიის (0.511-დან 0.53-მდე) და თანაბარზომიერების (0.571-დან 0.575-მდე) ინდექსები. მცირედით შემცირება და შესაბამისად ვითარების გაუარესება შეინიშნება ინდივიდუალური ჩართულობის დემოკრატიისა (0.387-დან 0.385-მდე) და დელიბერატიული დემოკრატიის (0.55-დან 0.548-მდე) მაკრო-ინდექსებში.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ V-Dem მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოს მაღალი დონის, მაკრო-ინდექსების მაჩვენებელი მცირედით, თუმცა მუდმივად იზრდებოდა. წინა წლების მაჩვენებლების ანალიზი საქართველოსთვის იხილეთ: <https://idfi.ge/ge/evaluation-of-level-of-democracy-in-georgia-in-1990-2017>

დიაგრამა N1 - დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსები საქართველოსთვის 2017-2018 წწ




### საშუალო დონის ინდექსები

დემოკრატიის საშუალო დონის არსებული 21 ინდექსიდან გრაფაზე N2 ნაჩვენებია გამოხატვის თავისუფლების და სხვა ალტერნატიულ ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსები. თითოეულ ინდექსს, მაკრო-ინდექსების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, იმავე პრინციპით ენიჭება ქულა 0-დან 1-მდე.

მონაცემების მიხედვით, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, გაზრდილი და, შესაბამისად, გაუმჯობესებულია მდგომარეობა გამოხატვის თავისუფლების და სხვა ალტერნატიული ინფორმაციის (0.874-დან 0.885-მდე) და ადგილობრივი თვითმმართველობის (0.384-დან 0.463-მდე) სფეროებში. ხოლო, რაც შეეხება რეგიონული თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ინდექსებს, 2017 წელთან შედარებით 2018 წელს მცირედით გაუარესებულია მდგომარეობა. კერძოდ, რეგიონული თვითმმართველობის ინდექსი შემცირებულია 0.19 დან 0.164-მდე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსი 0.869-დან 0.861-მდე, კანონის წინაშე თანასწორობისა და ინდივიდუალური ჩართულობის ინდექსი კი 0.881-დან 0.863-მდე. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნებს აღნიშნულ ინდექსებზე ქულა 0-დან 1-მდე ენიჭებათ, მცირე სხვაობასაც კი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მდგრადობის შეფასებისთვის.

## დიაგრამა N2 - საშუალო დონის ინდექსები, საქართველოსთვის 2017-2018




### პოლიტიკური პარტიები

N3 დიაგრამა ასახავს საქართველოში პოლიტიკური პარტიების თავისუფლებისა დამოუკიდებლობის ინდიკატორებს. კერძოდ, გრაფაზე მოცემულია ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის და პოლიტიკური პარტიების განშტოებების/ადგილობრივი წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, მმართველი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ქვეყანაში.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ვითარება გაუმჯობესებულია ცენტრალურ დონეზე პოლიტიკის შემქმნელ ორგანოებზე კონტროლსა და პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლების ინდექსზე, ხოლო კლება შეინიშნება ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის სფეროში.


დიაგრამა N3 - დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები  
პოლიტიკური პარტიების სფეროში, 2017-2018



**სასამართლო ხელისუფლება**

N4 დიაგრამაზე ნაჩვენებია სასამართლო ხელისუფლების შეფასების ინდიკატორები. თვალშისაცემია 2018 წელს სასამართლოს ანგარიშვალდებულების ინდიკატორის მკვეთრი ვარდნა წინა წელთან შედარებით, თუმცა გაზრდილია ზედა ინსტანციის სასამართლოების დამოუკიდებლობის მაჩვენებელი (0.06-დან 0.2 მდე) და მცირედი (0.005-ით) ზრდა შეინიშნება ქვედა ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასებისას.


დიაგრამა N4 - დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები  
მართლმსაჯულების სფეროში, 2017-2018 წლები



## სამოქალაქო თავისუფლებები

დიაგრამაზე N5 ნაჩვენებია სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით 2017-2018 წლებში საქართველოში არსებული ვითარება. კერძოდ, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება სქესის მიხედვით, აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლება და სოციალური კლასების თანაბარუფლებიანობა სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით. ყველა ზემოაღნიშნული ინდიკატორი იზომება 0-დან 4-მდე მაჩვენებლით, ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ.


მონაცემების მიხედვით, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს მდგომარეობა არ შეცვლილა აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლების კუთხით. გაუმჯობესებულია ვითარება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სფეროში. ხოლო, რაც შეეხება სოციალური კლასების თანაბარუფლებიანობას სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების კუთხით, ვითარება გაუარესებულია და მაჩვენებელი 1.7-დან 1.5-მდეა შემცირებული.



## სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა

V-Dem მონაცემები აგრეთვე ფარავს ინდიკატორებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას აფასებს. მე-6 დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა/გაუქმება და მათზე სახელმწიფოს კონტროლი, რეპრესიები (ხელისუფლების მხრიდან შევიწროება) და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობა. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა სხვა ინდიკატორი ფასდება 1-დან 4-მდე სიდიდით. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა კი 1-დან 3-მდე სიდიდით.

## დიაგრამა N6 - სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა 2017-2018 წწ.




მონაცემები ცხადყოფს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნის და გაუქმების მიმართულებით, ხოლო მაჩვენებლის კლება ფიქსირდება მიმდინარე პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ SCO-რეპრესიების მაჩვენებელი რეპრესიების კლებაზე მიუთითებდა 2007 წლიდან 2012 წლამდე, შემდეგ რეპრესია იზრდებოდა 2013-2014 წლებში და მას შემდეგ, 2017 წლის ჩათვლით მდგრადი კლებით ხასიათდებოდა. 2018 წელს კი მისი მაჩვენებელი 2.5-დან 1.7-მდე შემცირებული, რაც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შევიწროების გაზრდაზე მიუთითებს.

### პოლიტიკური თანასწორობა

პოლიტიკური თანასწორობის თემის ქვეშ განხილულია ძალაუფლების გადანაწილება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური ჯგუფების და სქესის მიხედვით. ინდიკატორის შესაფასებლად გამოყენებულია 0-დან 4-მდე საზომი, სადაც 0 ენიჭებათ ქვეყნებს ყველაზე ნეგატიურ, ხოლო 4 – ყველაზე პოზიტიურ შემთხვევებში. დიაგრამაზე ყველა ინდიკატორი 2017 წელთან შედარებით 2018 წელს კლებას განიცდის. თვალშისაცემია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით საქართველოს დემოკრატიის ხარისხის შესუსტება 0.8-დან 0.1-მდე. სოციალურ ჯგუფებთან მიმართებით ძალაუფლების განაწილების ხარისხი 0.005-ით არის შემცირებული, ხოლო 0.035-იანი კლება შეინიშნება სქესის მიხედვით ძალაუფლების გადანაწილების სფეროში.

დიაგრამა N7 - დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები  
პოლიტიკური თანასწორობის სფეროში, 2017-2018 წლები



2018 წელს 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოში დემოკრატიის ხარისხის მაკრო ინდექსების მდგრადი განვითარება ინდივიდუალური ჩართულობისა და დელიბერატიული დემოკრატიის ინდექსებმა შეაფერხა, რომელიც სხვადასხვა ინდიკატორებით იზომება. აღნიშნული მიუთითებს, რომ 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით საზოგადოებას ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა სხვადასხვა სფეროებში საკუთარი ნება არჩევანის გაკეთების საშუალებით გამოეხატა. აგრეთვე, ნაკლებად იყო გამოყენებული დიალოგის ფორმატი სხვადასხვა საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის და გადაწყვეტილებების მიღება ნაკლებად იყო მოტივირებული საზოგადო სიკეთით.

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითი ასახვა ჰპოვეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგომარეობის სფეროზე. კერძოდ, დაფიქსირდა სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი რეპრესიები და პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესუსტება, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოში დემოკრატიის საშუალო ხარისხი.

სტატიაში განხილულის გარდა, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მონაცემები, შეგიძლიათ იხილოთ [ამ ბმულზე](#).